საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ახალციხის აქატის საბადოები

ახალციხის აქატის საბადოები, ტექნიკური აქატის (ქალცედონის) საბადოები. განლაგებულია ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ე. წ. ახალციხის ქვაბულში. სივრცობრივად დაკავშირებულია შუაეოცენურ ვულკანოგენურ წყებასთან, საკუთრივ, ამ წყების ანდეზიტურ ჰორიზონტთან. გამოიყოფა აქატშემცველი ქანების ორი ზოლი – ქვაბულის ჩრდ. (შურდოს საბადო) და სამხრ. (პამაჯ-ზორეთის საბადო) ნაწილში. ა. ა. ს-ზე ძირითადად მოიპოვებენ მკვრივ ქალცედონს, ქარგიანი (ზოლებიანი) აქატი შედარებით იშვიათია. ეს მინერალები ჩრდ. ზოლში სეკრეციული წარმოშობის ჟეოდების სახით გვხვდება, სამხრ-ით – ჟეოდებისა და მილისებრი სხეულების სახით. მუშავდებოდა 1933-იდან. იყენებდნენ ზუსტი ხელსაწყოების, მ. შ. საათების, წარმოებასა და საიუველირო საქმეში.

თ. მგელიაშვილი